

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაიჩიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„26“ „10“ 2015 წელი

ეგზ. № 1

წალკის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აშ 60/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	4
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა	6
საბიუჯეტო პროცესი	7
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა	7
წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება - შემოსავლები.....	11
საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემები	12
წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს შესყიდული ინერტული მასალა.....	12
წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შუალედური შესრულების ანაზღაურებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები	13
ცვლილების შედეგად გაზრდილი სახელშეკრულებო ღირებულება.....	13
წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები.....	14
შესყიდვების მართვა - ავიდავიტი	14
გზის მოასფალტების სამუშაოები	15
გზის მოხრეშვითი სამუშაოები.....	17
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული სამუშაოები	17
საპროექტო მომსახურების შესყიდვა.....	18
შრომის ანაზღაურება.....	19
წარმომადგენლობითი ხარჯი	20
საწვავის ხარჯი	20
საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა	22
ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“	22
სუბსიდიები.....	23
სოციალური უზრუნველყოფა	24
სამსახურებრივი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა.....	24
სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი.....	25
მივლინება ქვეყნის გარეთ	25
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.....	26
ინვენტარიზაცია.....	26
აუდიტორული მომსახურების შესყიდვა	27
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	27
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	27

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- ✓ 2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ განუხილავს და არ დაუმტკიცებია ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები. ასევე არ განხილულა არც ერთი კვარტლის შესრულების საკითხი. შედეგად, დარღვეულია საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.
- ✓ 2013-2014 წლებში გამგეობას დაწესებული დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება არ განუხორციელებია. შედეგად არ შესრულდა საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნები და მუნიციპალიტეტმა დაკარგა ბიუჯეტში დამატებით თანხების მობილიზების შესაძლებლობა.
- ✓ მუნიციპალიტეტმა გამარტივებული წესით გააფორმა 85 ხელშეკრულება -საერთო ღირებულებით 919.5 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში გამგეობას მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება არ მოუხდენია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მიხედვით, ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.
- ✓ 2013-2014 წლებში 14 ხელშეკრულების ფარგლებში, წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, დოკუმენტურად ვერ დასტურდება 3.2 ათასი კბ.მ ქვიშის მიწოდება.
- ✓ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად სოფელ თრიალეთში გრუნტის დამუშავების ღირებულება განისაზღვრა 35.4 ლარით, მაშინ როდესაც იმავე ხარჯთაღრიცხვაში ანალოგიური სამუშაოს ღირებულება იყო 5.9 ლარი. ცვლილებაში აღნიშნული ფასის გათვალისწინების შემთხვევაში სამუშაოების შესრულება შესაძლებელი იყო 13.3 ათასი ლარის ნაკლები დანახარჯით.
- ✓ 2013 წელს, სოფელ კუშში წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციისთვის, მიმწოდებელს გრუნტის დამუშავების სამუშაოების ერთეულის ღირებულება გაეზარდა მას შემდეგ, რაც სამუშაოები უკვე ჩაბარებული იყო და შესაბამისი ანაზღაურება მიღებული ქონდა. შედეგად შპს-ს დამატებით აუნაზღაურდა 10.6 ათასი ლარი.
- ✓ 2014 წელს სოფელ საბეჭისში წყლის რეზერვუარისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 47.8 ათასი ლარი. სამუშაოები ჩაბარდა 2014 წლის 29 ოქტომბერს. მოსახლეობისა და პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წყლის სისტემის ჩართვა და სოფელზე წყლის მიწოდება დაიწყო მხოლოდ 2015 წლის მაისიდან, სამუშაოების დასრულებიდან შვიდი თვის შემდეგ.
- ✓ 2014 წლის 17 ივნისს, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერზე, მიმწოდებლებმა სავარაუდოდ დაარღვიეს აფიდავიტის მოთხოვნები, მეტი სარგებლის მიღების მიზნით.
- ✓ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა გზის კაპიტალური რემონტის სამუშაოები. ხელშეკრულების ფარგლებში გამგეობამ გზის სამოსის მომზადებაში მიმწოდებელს აუნაზღაურა 340.6 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც იგივე სამუშაოები ქვეკონტრაქტორმა შეასრულა 222.9 ათას ლარად.
- ✓ 2013 წელს შპს - „№2 საგზაო საექსპლოატაციო სამმართველოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულების

უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რის შედეგადაც დაკარგა 18.4 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

- ✓ წალკის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოხრეშვით სამუშაოებზე ინერტული მასალის შესყიდვა-ტრანსპორტირების დოკუმენტაციის მიხედვით, ტრანსპორტირებული ხრეშის მოცულობა 316 კუბ.მ-ით ნაკლებია მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ რაოდენობაზე. შედეგად პირველადი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება 7.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულება.
- ✓ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესწავლისას გამოვლინდა, რომ 17.6 ათასი ლარის სამუშაოები დაზიანებულია და გამოსულია მწყობრიდან, ხოლო 78.8 ათასი ლარის სამუშაოები დაუსრულებელია.
- ✓ 2013-2014 წლებში გაცემულმა პრემიებმა ჯამში 696.9 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 100%-იანი პრემიები, წელიწადში 6-7-ჯერ, ძირითადად გაცემულია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე.
- ✓ 2013-2014 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, ჯამში გაცემულია 259.5 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნული ხარჯის გაწევის დასადასტურებლად დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი.
- ✓ 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტს სულ გახარჯული აქვს 94.5 ათასი ლიტრი საწვავი, საერთო ღირებულებით 199.7 ათასი ლარი. საწვავის გამოყენებაზე გამგეობას არ აქვს შემუშავებული სათანადო კონტროლის სისტემა, ასევე განსაზღვრული არ არის სხვადასხვა თანამდებობის პირზე შესაბამისი ლიმიტები.
- ✓ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2013-2014 წლებში 7.9 ათასი ლარი დახარჯულია სხვადასხვა თანამდებობის პირისთვის მობილური ტელეფონების შესაძენად, მათ შორის გამგებლისთვის ტელეფონი შეძენილია ორჯერ საერთო ღირებულებით 2160 ლარი, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარისთვის სამჯერ ღირებულებით 2940 ლარი. ასევე ამ პერიოდში გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარისთვის შეძენილია 2 პლანშეტი, რაზედაც დაიხარჯა 1380 ლარი.
- ✓ 2013-2014 წლებში თვითმმართველ ერთეულში დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შესახებ“, რომლის მიხედვით, წალკის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის 3 სამსახურებრივი ავტომანქანა, ხოლო ფაქტობრივად იყენებს 5 ავტომობილს.
- ✓ გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა ფინანსური ანგარიშგებები 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის, რითაც დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საფინანსო საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანი იყო წალკის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესაბამისობის დადგენა, მასზე არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებთან, მათ შორის:

- ❖ საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი¹;
- ❖ საქართველოს კანონი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- ❖ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ❖ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- ❖ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების სრული ბიუჯეტი, მთლიანი შემოსულობები - 11 221.7 ათასი ლარი და გადასახდელები - 11 770.7 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებათა აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომლებიც რისკების შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით, გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

¹ საანგარიშო პერიოდში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე მოქმედებდა ასევე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013 და 2014 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100).

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს; აგრეთვე ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2013 და 2014 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“, რომელიც გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

წალკის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაყოფილია 30 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 43 სოფელს². საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის მდგომარეობით 23.5 ათას კაცს შეადგენს³. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- ❖ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ❖ ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ❖ მუნიციპალიტეტის ქონების შექმნა, სარგებლობა და განკარგვა;
- ❖ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ❖ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;

საბიუჯეტო პროცესი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტლურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. თვითმმართველობის საფინანსო ორგანო, წარმომადგენლობით ორგანოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში, ასევე წარუდგენს ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშს, რომელიც არა უგვიანეს 1 მაისისა, იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ განუხილავს და არ დაუმტკიცებია ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები. ასევე არ მომხდარა არც ერთი კვარტლის შესრულების განხილვა. შესაბამისად, გამგეობამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც აუდიტის ჯგუფი გამოთქვამდა მოსაზრებას ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის სწორ და სამართლიან წარდგენაზე. გამოვლენილი გარემოების შედეგად, დარღვეულია საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნები.

მუნიციპალიტეტს არ აქვს დამტკიცებული წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ბიუჯეტის მონაცემების განხილვისას ეყრდნობა წალკის მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის შესრულების მონაცემებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, 2013-2014 წლებში შემოსულობები ხასიათდება კლების ტენდენციით, რაც ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების კლებით. სულ შემოსულობებმა შეადგინა 11 221.7 ათასი ლარი, მათ შორის 98% უჭირავს შემოსავლებს, ხოლო 2% წარმოადგენს

² www.nala.ge

³ www.geostat.ge

არაფინანსური აქტივების კლებას. წლების მიხედვით აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით.

ცხრილი 1. 2013-2014 წლის შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
შემოსულობები	5726.5	5495.2	11221.7
შემოსავლები	5621.3	5406.4	11027.7
გადასახადები	1044.9	926.5	1971.4
გრანტები	4181.2	3783.5	7964.7
სხვა შემოსავლები	395.2	696.4	1091.6
არაფინანსური აქტივების კლება	105.2	88.8	194

2013-2014 წლების ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, შემოსავლების 72%-ს წარმოადგენს გრანტები, გადასახადის სახით მიღებულია 18%-ს, ხოლო დანარჩენი 10% უჭირავს სხვა შემოსავლებს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს, წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

ცხრილი 2. 2013-2014 წლებში მიღებული ტრანსფერები

ათასი ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2013 წელი	2014 წელი	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	1559.9	1819.6	3379.5
მიზნობრივი ტრანსფერი	105.0	109.0	214
სპეციალური ტრანსფერი ⁴	2516.3	1854.8 ⁵	4371.1
სულ:	4181.2	3783.4	7964.6

2014 წელს, წინა წელთან შედარებით, 301.2 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა შემოსავლების“ მუხლი. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მოსაწყობად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსის შეცვლამ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად. რისთვისაც კერძო კომპანიის მიერ ჯამში გადახდილია 318.2 ათასი ლარი.

⁴ 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სპეციალური ტრანსფერიდან გაიმიჯნა კაპიტალური ტრანსფერი.

⁵ 2014 წელს წალკის მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერის სახით გამოეყო 1854.8 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად იქნა მიმართული.


2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია საკუთარი ქონების პრივატიზება, ხოლო „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით შემოსული 194 ათასი ლარი მიღებულია წალკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს წალკის მუნიციპალიტეტის შემოსავლების მუხლში ზედმეტადაა აღრიცხული 25.6 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს წლის განმავლობაში შეცდომით გადარიცხული თანხების უკან დაბრუნებას.

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 11 770.7 ათასი ლარი⁶. მათ შორის, ხარჯები შეადგენს 53%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 47%-ს. 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, გადასახდელები შემცირებულია 274.5 ათასი ლარით.

წალკის მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში გადასახდელები გადანაწილებულია შემდეგნაირად;


დიაგრამა 1. 2013-2014 წლების ბიუჯეტის გადასახდელები სხვადასხვა კრილში %-ებში



დიაგრამიდან ჩანს, რომ 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელების ძირითადი ნაწილი ადმინისტრაციის შენახვაზე იხარჯება, რაც მთლიანი გადასახდელების დაახლოებით 37%-ია.

⁶ 2013 წელს - 6022.6 ათასი და 2014 წელს - 5748.1 ათასი ლარი.

დიაგრამა 2. 2013-2014 წლების ხარჯების დინამიკა (ათასი ლარი)



ხარჯები 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაზრდილია 175.4 ათასი ლარით, რომელიც ძირითადად გამოწვეულია „სუბსიდიის“ მუხლის ზრდით - ჯამში 151.2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემული სუბსიდიის ძირითადი ნაწილი დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას წარმოადგენს, რაც 2013-2014 წლებში ჯამში 754.2 ათას ლარს შეადგენს.

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდისათვის ჯამში გახარჯულია 5 556.7 ათასი ლარი, მათ შორის, 2013 წელს - 3 003.3 ათასი, ხოლო 2014 წელს - 2 553.4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში „ხარჯების“ მუხლებს შორის გადანაწილების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- „არაფინანსური აქტივების ზრდაში“ არასწორადაა აღრიცხული გზის მოხრეშვითი სამუშაოები, საერთო ღირებულებით 492.4 ათასი ლარი.
- „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლში არასწორადაა აღრიცხული 259.5 ათასი ლარი საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯების ანაზღაურების მიზნით გაცემული თანხები.

ნაშთის ცვლილება

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით ერიცხებოდა 1 858.6 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ 2013-2014 წლებში თვითმმართველი ერთეული სრულად გეგმავდა თავის ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენებას, 2013 წელს დახარჯა მხოლოდ 319.4 ათასი და წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 1539.2 ათასი ლარი. ხოლო, 2014 წელს თავისუფალი ნაშთიდან გამოიყენა 252.2 ათასი და პერიოდის ბოლოს თავისუფალმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა 1 287 ათასი ლარი. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა

ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები დაგეგმოს და შეასრულოს ისე, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად, ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად.

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება - შემოსავლები

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარ ტერიტორიაზე დააწესოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვადასხვა მოსაკრებელი. წალკის საკრებულომ 2012 წლის 11 მაისის დადგენილებით, შემოიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 50 თეთრს, ხოლო იურიდიული პირებისათვის - ყოველ კუბ.მ ნარჩენზე - 10 ლარს. ამავე დადგენილების თანახმად, მოსაკრებლის ადმინისტრირება დაევალა გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს. 2013-2014 წლებში გამგეობას დაწესებული გადასახადი არ ამოუღია. შედეგად, არ შესრულდა საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნები. აღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი შეძლებდა ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლის მოზილზებას.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა

2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებულია 113 ხელშეკრულება, ღირებულებით 3981.7 ათასი ლარი. მათ შორის, გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერის საშუალებით - 28 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით - 3062.2 ათასი, ხოლო გამარტივებული წესით გაფორმებულია 85 ხელშეკრულება - 919.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების⁷ და ეკონომიკის მინისტრის ბრძანების⁸ თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რომ გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს მეწარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისად. ასევე დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებს არ დაარიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მეწარმესთან ანგარიშსწორებისას ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინება ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენდა შესაბამის დოკუმენტაციას, ხოლო თუ მეწარმე არ წარმოადგენდა მის მიერ გაწეული დანახარჯების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ანგარიშსწორება ხდებოდა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ შემთხვევაში მოხდა მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. აგრეთვე, ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა ვერ წარმოადგინა სათანადოდ გაფორმებული შემსრულებელთა ფაქტობრივი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამარტივებული წესით შესყიდულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შესაბამისი ფორმა №2-ების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლებზე თანხის

⁷ მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.

⁸ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

ანაზღაურების დროს არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ არც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არ არის შემცირებული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა, გამოყენებულ რესურსზე ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინებით. აგრეთვე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისთვის დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებზე დარიცხულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზედნადები ხარჯისა და გეგმიური დაგროვების პროცენტი. ვინაიდან არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ხშირია მიმწოდებლების ფაქტობრივ დანახარჯებსა და გამგეობის მიერ ანაზღაურებულ თანხებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები, საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეასრულოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემები

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წყლის სისტემების მშენებლობა წარმოადგენდა. ამ მიმართულებით დაიხარჯა არაფინანსური აქტივების ზრდაზე გადახდილი თანხის 48%, ჯამში - 2 638.1 ათასი ლარი. მათ შორის, 2013 წელს - 1 521.3 ათასი, ხოლო 2014 წელს - 1 116.8 ათასი ლარი. სამუშაოების შესწავლისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს შესყიდული ინერტული მასალა.

შპს „ბილდინგ დეველოპერმა“ წლის განმავლობაში სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიწოდებული ინერტული მასალის რაოდენობის დასადასტურებლად აუდიტის ჯგუფს საკუთარი ინიციატივით მიაწოდა ქვიშის შესყიდვისა და ტრანსპორტირების დამადასტურებელი სასაქონლო-ზედნადებები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ შემსრულებელს 2013-2014 წლებში წალკის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებული აქვს 10.9 ათასი კბ.მ ქვიშა, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ამ პერიოდში მას უნდა მიეწოდებინა 14.1 ათასი კბ.მ, ანუ 3.2 ათასი კბ.მ-ით მეტი. აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში შპს „ბილდინგ დეველოპერზე“ ქვიშის ღირებულების სახით მუნიციპალიტეტს ერთ კბ.მ-ში გადახდილი აქვს 8-დან 35 ლარამდე. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოების მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში ვერ მოხერხდა გამიჯვნა, თუ კონკრეტულად რომელ ობიექტზე და რა ღირებულების ინერტული მასალის მიწოდების დოკუმენტაცია არ წარმოადგინა მიმწოდებელმა.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ახსნა-განმარტებით, ისინი არ ახორციელებდნენ მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივად შეტანილი ინერტული მასალის ზუსტ აღრიცხვას. სამუშაოების მიმდინარეობისას ინერტული მასალის მიწოდება ხდებოდა სხვადასხვა მოცულობის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით და დათვლას აწარმოებდნენ საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, რასაც შეეძლო გამოეწვია სხვაობები ფორმა №2-ში დაფიქსირებულ მაჩვენებლებსა და ფაქტობრივ მიწოდებას შორის.

წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შუალედური შესრულების ანაზღაურებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები

წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ინსპექტირების ჯგუფმა შუალედური ფორმა №2-ით ჩაიბარა ისეთი სამუშაოები, რომლებიც იმ პერიოდისთვის მიმწოდებელს სავარაუდოდ არ ქონდა შესრულებული. კერძოდ, 2013 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ სოფლებში - თეჯისსა და ახალშენში შემსრულებელმა მოახდინა მიწის გაჭრა და მილის მოწყობა, რის შედეგადაც მას აუნაზღაურდა აღნიშნული სამუშაოების ღირებულება. დარჩენილი ნაწილი შპს-მ ჩააბარა 2013 წლის 21 ოქტომბერს წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სადაც ნაჩვენებია რომ მოწყობილია 1210 კუბ.მ ქვიშის ბალიში, რაზედაც შემსრულებელმა მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. სამუშაოების ლოგიკური თანმიმდევრობიდან გამომდინარე, მიმწოდებელი მიწაში მილის ჩადების შემდგომ ვერ შეძლებდა მისთვის ქვიშის ბალიშის მოწყობას. ასევე, „ბილდინგ დეველოპერთან“ გაფორმებული №1/99 ხელშეკრულების ფარგლებში ფირმას სოფლებში - თეჯისსა და სამადლო-ბეშთაშენში, წყლის სათავე ნაგებობი უნდა შემოეღობა. 13 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, შპს-ს აღნიშნულ სამუშაოზე სრულად აქვს მიღებული „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული თანხა, თუმცა ამავე პერიოდში საჭირო მასალა არ აქვს მიწოდებული. მასალა მიწოდებულია 21 ოქტომბერსა და 25 ნოემბერს, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით.

ცვლილების შედეგად გაზრდილი სახელშეკრულებო ღირებულება

2013 წლის 17 სექტემბერს შპს „ბილდინგ დეველოპერთან“ გაფორმდა ხელშეკრულება⁹ წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით 390 ათასი ლარი. აღნიშნულ ხელშეკრულება დაკორექტირდა 20 ნოემბერს და მისი ღირებულება გაიზარდა 37.7 ათასი ლარით. ცვლილება ძირითადად მოიცავდა დასამუშავებელი გრუნტის კატეგორიების შეცვლას. კერძოდ:

- ✓ სოფელ თრიალეთში 450 კუბ.მ მიწას შეეცვალა კატეგორია და ნაცვლად მე-4 კატეგორიისა, ექსკავატორით დამუშავდა მე-5 კატეგორიის გრუნტი, რომლის დამუშავების ერთეულის ღირებულება კორექტირების შედეგად განისაზღვრა 35.4 ლარით, მაშინ როდესაც იმავე ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „ბილდინგ დეველოპერი“ მე-5 კატეგორიის გრუნტის მექანიზმებით დამუშავებას ახოციელებდა 5.9 ლარად. ცვლილებაში აღნიშნული ფასის გათვალისწინების შემთხვევაში, სამუშაოების შესრულება შესაძლებელი იყო 13.3 ათასი ლარის ნაკლები დანახარჯით.
- ✓ აღნიშნული ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა სოფელ კუშში წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავებას, რომელიც მიმწოდებელმა შეასრულა 7 ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. თუმცა 20

⁹ ხელშეკრულება №1/125

ნოემბერს განხორციელებული ცვლილების მიხედვით, უკვე ჩაბარებული მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება შეიცვალა მე-4 კატეგორიის გრუნტით, რისთვისაც მიმწოდებელს დამატებით აუნაზღაურდა 10.6 ათასი ლარი.

წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვა დარღვევა-ნაკლოვანებები

2014 წელს სოფელ საბეჭისში წყლის რეზერვუარის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 47.8 ათასი ლარი¹⁰. სამუშაოები ჩაბარდა 2014 წლის 29 ოქტომბერს, ხოლო სისტემის ჩართვა და სოფელზე წყლის მიწოდება დაიწყო მხოლოდ 2015 წლის მაისიდან, სამუშაოების დასრულებიდან შვიდი თვის შემდეგ. პასუხიმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ჭაბურღილის ჩართვა შეეძლო თვითონ მოსახლეობას, მაგრამ იმის გამო რომ სოფელმა ვერ უზრუნველყო წყლის ნაკადის რეგულირება მუნიციპალიტეტმა მოახდინა მისი ორგანიზებული ჩართვა 2015 წლის მაისიდან.

2013 წელს შპს „თერგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში¹¹, სოფელ კავთაში განხორციელდა ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნულ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა გეოლოგიური კვლევა, რომლის მიხედვითაც შეირჩა მიწის ის კოორდინატები, სადაც ბურღვა უნდა განხორციელებულიყო. მიმწოდებელმა მიწა გაბურღა, თუმცა ჭაბურღილის მოწყობის სამუშაო შეწყდა, რადგან წყალი არ ამოვიდა, ხოლო შემსრულებელს აუნაზღაურდა მხოლოდ ბურღვითი სამუშაოს ღირებულება 32.8 ათასი ლარი.

შესყიდვების მართვა - აფიდავიტი

2014 წელს წალკის მუნიციპალიტეტმა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოაცხადა ტენდერი სავარაუდო ღირებულებით - 660.8 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა რომელთაგან ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „MSHEN GROUP-მშენ გროუპმა“ – 645.8 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვების მიუხედავად შპს-მ არ წარმოადგინა საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, რის გამოც მოხდა მისი დისკვალიფიკაცია და ხელშეკრულება გაუფორმდა მომდევნო პრეტენდენტს, შპს - „ნიუ კომპანის“, ღირებულებით 657.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით შპს „ნიუ კომპანი“ დაფუძნების პერიოდიდან ძირითადად საქმიანობს, როგორც „მშენ გროუპის“ ქვეკონტრაქტორი სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვებში. კერძოდ, ნიუ კომპანიმ ტენდერის მიმდინარეობისას წარმოადგინა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება 1 981.4 ათას ლარზე, რომელთაგან 98%-ს, შეადგენს შპს „MSHEN GROUP-მშენ გროუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები. არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შესყიდვაში მონაწილე ორი ფირმა ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდა. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ შპს „MSHEN GROUP-მშენ გროუპს“ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, შეეძლო სათანადოდ გაფორმებული

¹⁰ ხელშეკრულება №63, 09.06.2014

¹¹ ხელშეკრულება №1/96, 30.08.2013

საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენა, თუმცა ტენდერში გამარჯვების შემდეგ სავარაუდოდ განზრახ არ წარმოადგინა მეტი სარგებლის მიღების მიზნით.


შედეგად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ პრეტენდენტებმა დაარღვიეს საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, კონკურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება, ან მოლაპარაკება, სატენდერო წინადადების ფასის და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების შესახებ. მუნიციპალიტეტს შეეძლო შეესწავლა აღნიშნული საკითხი და გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

გზის მოასფალტების სამუშაოები

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტმა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ჯამურად დახარჯა 1370.8 ათასი ლარი, მათ შორის, 2013 წელს - 522.6 ათასი, ხოლო 2014 წელს - 848.2 ათასი ლარი. განხორციელებული სამუშაოებიდან 878.4 ათასი დახარჯულია მოასფალტების, ხოლო დაანარჩენი - გზის მოხრეშვით სამუშაოებზე. წალკის მუნიციპალიტეტში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები.

2014 წელს წალკის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ნიუ კომპანისტან“, საერთო ღირებულებით 657.8 ათასი ლარი, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა წალკის შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები. მიმწოდებელმა სამუშაოების სრულად შესასრულებლად აიყვანა ქვეკონტრაქტორი, შპს „ნიუ ქასელ ქონსტრაქშენი“, რომელთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 630.5 ათასი ლარი, ანუ 27.3 ათასი ლარით ნაკლები. თავის მხრივ, „ნიუ ქასელ ქონსტრაქშენმა“ გზის სამოსის მომზადების სამუშაოების განსახორციელებლად, ქვეკონტრაქტორად აიყვანა შპს „ბურჯი 3“, ხოლო თვითონ მხოლოდ ასფალტის მოწყობის სამუშაოები ჩაატარა. შპს „ნიუ კომპანიმ“ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, გზის სამოსის მომზადების სამუშაოებში მუნიციპალიტეტისგან მიიღო 340.6 ათასი ლარი, რომელიც შპს „ბურჯი 3-მა“ შეასრულა 222.9 ათას ლარად, ანუ 117.7 ათასი ლარით უფრო იაფად. (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3: სამუშაოების გადანაწილება შემსრულებლებს შორის



საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია საქონლის/მომსახურების შესყიდვის საწყის ეტაპზე ჩაატაროს ბაზრის კვლევა, რათა განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის შესაძლო რეალური საბაზრო ღირებულება და თავიდან აიცილოს საქონლის ან მომსახურების არაგონივრულად მაღალი ფასით შეძენა. ვინაიდან მხოლოდ გზის სამოსის მოწყობის სამუშაოებში მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ და ქვეკონტრაქტორზე გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეადგენს 117.7 ათას ლარს, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ სამუშაოების სავარაუდო ღირებულების გაანგარიშება არ ეფუძნება გონივრულ გათვლებს.

2013 წელს შპს „№2 საგზაო საექსპლუატაციო სამმართველოსთან“ გზის მოასფალტების სამუშაოებზე გაფორმდა ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 367.9 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჯავახიშვილისა და 25 მარტის ქუჩების მოასფალტებას. შუალედური ფორმა №2-ის მიხედვით, მიმწოდებელმა შეასრულა 220.6 ათასი ლარის სამუშაო, რაზეც მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. ამის შემდეგ მან წარმოადგინა საბოლოო შესრულება და ექსპერტიზის აქტი, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო დარჩენილი თანხის გადახდა. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობამ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გააფორმა ხელშეკრულება და ჩაატარა ალტერნატიული ექსპერტიზა, რომლის მიხედვითაც სამუშაოები აღმოჩნდა უხარისხო. კერძოდ, ასფალტის სისქე არ შეესაბამებოდა მოთხოვნილს, ხოლო დაგების ტექნოლოგია - არსებულ სტანდარტს. შედეგად, გამგეობამ მიმწოდებელს უხარისხობის გამო არ აუნაზღაურა დარჩენილი 147.3 ათასი ლარი. აღნიშნულ საკითხზე აუდიტის პერიოდში მიმწოდებელსა და გამგეობას შორის მიმდინარეობდა სასამართლო დავა.

შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტს წარუდგინა ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა 18.4 ათას ლარზე. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებები, გამგეობამ არ გამოიყენა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, რითაც დაკარგა 18.4 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

გზის მოხრეშვითი სამუშაოები

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2013 წელს ხელშეკრულება¹² გააფორმა შპს NEW ROAD-თან, საერთო ღირებულებით - 260 ათასი ლარი. მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა წალკის შიდა გზების მოხრეშვა. შპს-მ სამუშაოების სრულად შესასრულებლად დაიქირავა ქვეკონტრაქტორი, რომელმაც გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები შეასრულა 250 ათას ლარად, ანუ 10 ათასი ლარით უფრო იაფად.

ქვეკონტრაქტორმა აუდიტის ჯგუფს საკუთარი ინიციატივით წარუდგინა ინერტული მასალის შესყიდვა-ტრანსპორტირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ გამგეობასთან გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მოწყობილი ხრეშის მოცულობა 316 კუბ.მ-ით ნაკლებია მიმწოდებლის მიერ შესყიდული ხრეშის რაოდენობაზე. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეწარმემ 7.9 ათასი ლარის ღირებულების 316 კუბ.მ ხრეშის მოწყობის სამუშაო არ შეასრულა, თუ შესრულების მიუხედავად სათანადოდ არ გააფორმა შესაბამისი სასაქონლო ზედნადებები.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელებული სამუშაოები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნებია პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა, უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად და სხვა. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ✓ განსახორციელებელი პროგრამის (პროგრამების) დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე;
- ✓ პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება უნდა აუმჯობესებდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალურ, ყოფით, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;
- ✓ სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;
- ✓ პროგრამით განსაზღვრული თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას.

¹² ხელშეკრულება №1/108, 05.09.2013

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად სულ გამოიყო 1 073.6 ათასი ლარი. მათ შორის, 2013 წელს - 545 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 528.6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- ✓ 2013 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, სოფელ თრიალეთში შეძენილია ტრენაჟორები და სპორტული ინვენტარი, ღირებულებით 6 ათასი ლარი. ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტს არანაირი კონტროლი არ ჰქონდა დაწესებული შესყიდული ინვენტარის გამოყენებაზე. შედეგად, აღნიშნული ინვენტარი ისეა დაზიანებული, რომ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია.
- ✓ სოფელ გუმბათში 2013 წელს 14.1 ათასი ლარი დახარჯულია ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე, რომელიც კარკასულ მდგომარეობაშია და არ არის მზად ექსპლუატაციისთვის, სამუშაოები არც შემდგომ, პერიოდში გაგრძელებულა.
- ✓ სოფელ საყდრიონში 2013 წელს გარემონტდა სოფლის ახალგაზრდული სახლი, რაზედაც ჯამში გადახდილია 19 ათასი ლარი. დღეის მდგომარეობით შენობაში დაზიანებულია ჭერი და ინვენტარი, აგრეთვე შენობა კერძო პირის მიერ გამოიყენება, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტების სათავსო.
- ✓ 2013 წელს სოფელ საბეჭისში რიტუალების სახლის რემონტზე დაიხარჯა 14.3 ათასი ლარი. შენობა დღეის მდგომარეობით არ არის დასრულებული ხოლო სამუშაოები არც შემდგომ წლებში გაგრძელებულა.
- ✓ 2013 წელს სოფელ ბურნაშეთში კლუბისათვის შეძენილია 8.9 ათასი ლარის თუნუქის სახურავი და ხის მასალა, რომელიც აუდიტის მიმდინარეობის პროცესში დასაწყობებული იყო გამგებლის წარმომადგენლის ეზოში და არ მომხდარა მისი შემდგომი გამოყენება.
- ✓ სოფელ დარაკოვში 2013-2014 წლებში შესყიდულია წისქვილის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 22 ათასი ლარი. აღნიშნული ობიექტი არ ფუნქციონირებს, რადგან წისქვილის დანადგარი დაუმონტაჟებელია და არ არის მიყვანილი ელექტროენერგია.
- ✓ სოფელ ჩრდილისუბანში 2014 წელს შეძენილია 5.8 ათასი ლარის სარიტუალო სახლის გადასახური თუნუქის მასალა, რომელიც ამჟამად დასაწყობებულია იმავე შენობაში.
- ✓ სოფელ ბეშთაშენში 2014 წელს 8.8 ათასი ლარი დახარჯულია სარიტუალო სახლის მშენებლობაზე, რომელიც კარკასულ მდგომარეობაშია და არ არის მზად ექსპლუატაციისთვის.
- ✓ სოფელ განთიდში 2014 წელს გარემონტდა სოფლის ახალგაზრდული კლუბი, რაზედაც ჯამში დაიხარჯა 11.6 ათასი ლარი. დათვალიერებისა აღმოჩნდა, რომ ახლად დაგებული იატაკი ზოგიერთ ადგილას დაზიანებულია.

საპროექტო მომსახურების შესყიდვა

მუნიციპალიტეტი მშენებლობის სირთულის მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვამდე ყოველთვის ახდენს შესაბამის პროექტ-ხარჯთაღრიცხვის შეძენას. 2013-2014 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამგეობას გადახდილი

აქვს 96.1 ათასი ლარი. საპროექტო სამუშაოების ძირითადი მიმწოდებელია შპს „ემ-ბი-სი“, რომელზედაც ჯამურად ანაზღაურებულმა თანხამ 88.5 ათასი ლარი შეადგინა, მთლიანი გადახდილი თანხის 92%.

გამგეობის მიერ შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტი ხშირად ახდენს ისეთი პროექტების შესყიდვას, რომელთა შედეგაც, სავარაუდოდ საკუთარი რესურსით შეუძლია. ასევე მსგავსი სამუშაოების შემთხვევაში, ერთჯერ შესყიდული პროექტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მრავალჯერადად. მაგალითად, მოხრეშვითი, შემოღობვითი და სხვადასხვა მარტივი სახის სამუშაოების პროექტები.

მიზანშეწონილია გამგეობამ განიხილოს შესყიდული პროექტის მრავალჯერადად გამოყენებისა და საკუთარი რესურსით მარტივი პროექტების შედეგის შესაძლებლობები, რითაც წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

შრომის ანაზღაურება

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან ჯამურად დახარჯულია 3 119.6 ათასი ლარი, მათ შორის, 2013 წელს - 1 526.8 ათასი, ხოლო 2014 წელს - 1 592.8 ათასი ლარი. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდა ძირითადად განპირობებულია საპრემიო თანხების ზრდით, რომელიც 2014 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 76.7 ათასი ლარით. მთლიანობაში აღნიშნულ პერიოდში გაცემულმა ხელფასმა 2 422.7¹³ ათასი, ხოლო პრემიამ - 696.9¹⁴ ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტში პრემიების გაცემა რეგულირდება საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით¹⁵, რომლის მიხედვითაც ის შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ და წლის განმავლობაში სამ ძირითად დღესასწაულთან დაკავშირებით. საპრემიო ფონდის განაწილების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს 2013 წელს პრემიის სახით მიღებული აქვს 18 550 ლარი (პრემია გაცემულია 7 ჯერ), ხოლო 2014 წელს - 15 900 ლარი (პრემია გაცემულია 6-ჯერ).
- გამგებელს 2013 წელს სულ პრემიის სახით აღებული აქვს 13 250 ლარი (პრემია გაცემულია 5-ჯერ), ხოლო 2014 - 18 550 ლარი (პრემია გაცემულია 7 -ჯერ).
- საკრებულოს თავმჯდომარესა და გამგებელზე ასევე მათ მოადგილეებზე და გამგეობის სამსახურების უფროსებზე 2013-2014 წლებში პრემიები ძირითადად გაიცემოდა თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით. აღნიშნული თანამდებობის პირებზე ჯამში 2013 წელს გაცემულია 102.3 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს 128.1 ათასი ლარი, რომელიც თითოეული წლის საპრემიო ფონდის 33%-ს შეადგენს.
- საკრებულოსა და გამგეობის სხვა თანამშრომლებზე 2013-2014 წლებში პრემია გაიცემოდა სხვადასხვა სიხშირით, საშუალოდ 6-7-ჯერ და მისი ოდენობა მერყეობს თანამდებობრივი სარგოს 55-დან 100%-მდე. ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის

¹³ 2013 წელს - 1216.6 და 2014 წელს - 1206.1 ათასი ლარი.

¹⁴ 2013 წელს - 310.0 და 2014 წელს - 386.9 ათასი ლარი.

¹⁵ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №32 დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტში პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის შესახებ“.

წარმომადგენლებზე ძირითად შემთხვევაში პრემიის გაცემა არ მომხდარა გარდა საახალწლოდ გაცემული ერთი თანამდებობრივი სარგოსა.

წარმომადგენლობითი ხარჯი

2013-2014 წლებში ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლით დახარჯულია 259.5 ათასი ლარი, აქედან 96% - 248.2 ათასი, გაცემულია საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელების დროს გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. აღნიშნული ხარჯი გატარებულია „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლით, თუმცა შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ვერ დგინდება კონკრეტულად რა სახის ხარჯია გაწეული და რომელ მუხლში უნდა მომხდარიყო მისი კლასიფიცირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად¹⁶, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირებისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ და მას შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

საკრებულოს წევრების ხარჯის ანაზღაურების საფუძველია საკრებულოს მიერ დადგენილი წესი¹⁷, რომლის მიხედვითაც ანაზღაურება განსაზღვრული იყო სამი კრიტერიუმით: საკრებულოს სხდომებზე დასწრება, განსახილველ საკითხებში მონაწილეობა და ცალკეული დავალების შესრულება, რისთვისაც ყოველთვიურად ანაზღაურდებოდა 500 ლარი¹⁸. საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით, უმეტეს შემთხვევაში გადახდილია ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა ინფორმაცია დეპუტატების მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული დანახარჯების შესახებ, შესაბამისად, მათი ანაზღაურება განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით. აღსანიშნავია, რომ ხშირად, დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა უნაზღაურდებოდათ იმ საკრებულოს წევრებსაც, რომლებიც საანგარიშგებო თვის განმავლობაში საერთოდ არ დასწრებიან სხდომებს.

საკრებულოს წევრებს ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებულ თანხებზე დაუკავდათ საშემოსავლო გადასახადი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანხების გაცემის პრაქტიკა ფაქტობრივად წარმოადგენს შემოსავალს.

საწვავის ხარჯი

წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2013-2014 წლებში სულ საწვავში დახარჯულია 199.7 ათასი ლარი, მათ შორის, 2013 წელს - 102.8 ათასი, ხოლო 2014 წელს - 96.9 ათასი ლარი. საწვავის განაწილებისას მუნიციპალიტეტს განსაზღვრული არ აქვს ცალკეულ თანამდებობის პირზე მაქსიმალური ლიმიტის ოდენობა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არაა დადგენილი, რომელმა თანამდებობის პირმა მაქსიმუმ რა რაოდენობა უნდა გახარჯოს თვის

¹⁶ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

¹⁷ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 ნოემბრის №29 დადგენილება.

¹⁸ 2014 წლის 6 ოქტომბერს ამოქმედდა ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც შეფასდა თითოეული კრიტერიუმი და განისაზღვრა საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 200 ლარი, ამომრჩეველებთან შეხვედრებისთვის - 100 ლარი და საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის - 200 ლარი.

განმავლობაში. შედეგად, სამსახურებრივ ავტომობილებზე გაცემული საწვავის მოცულობა არსებითად განსხვავდება თვეების მიხედვით (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 1. 2013-2014 წლებში სამსახურებრივ ავტომანქანებზე გახარჯული ბენზინი (ლიტრი)

2013 წელი

რაოდენობა გამოსახულია ლიტრებში

თანამდებობა	მომსახურე ავტომობილი	გახარჯული საწვავი (სულ)	თვიური ხარჯი	
			მინიმალური	მაქსიმალური
საკრებულოს თავმჯდომარე	toyota land crouzer	6313	500	800
გამგებელი	toyota prado	5820	400	520
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	hyunday toucson	3600	300	300
გამგებლის მოადგილე	mitsubishi pajero	2850	150	300
გამგებლის მოადგილე	Niva	2850	150	300
კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	nissan patrol	4020	90	400
სამხედრო სამსახური	Niva	2020	60	80
სახანძრო სამაშველო სამსახური	zil131, gaz51	7570	560	810

2014 წელი

რაოდენობა გამოსახულია ლიტრებში

თანამდებობა	მომსახურე ავტომობილი	გახარჯული საწვავი (სულ)	თვიური ხარჯი	
			მინიმალური	მაქსიმალური
საკრებულოს თავმჯდომარე	toyota land crouzer	6207	340	1163
გამგებელი	toyota prado	4925	20	862
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	hyunday toucson	3693	200	554
გამგებლის მოადგილე	mitsubishi pajero	2250	50	490
გამგებლის მოადგილე	Niva	1700	50	300
კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	nissan patrol	4320	120	1160
სამხედრო სამსახური	Niva	1980	70	270
სახანძრო - სამაშველო სამსახური	zil131, gaz51	6130	300	1200

მუნიციპალიტეტის გამგეობა საწვავის განაწილებას ახორციელებს როგორც პლასტიკური ბარათებით, ასევე ტალონებით. პირებს, რომელთაც ემსახურება სამსახურებრივი ავტომობილი, თვის განმავლობაში საწვავი ერიცხებათ პლასტიკურ ბარათზე, ტალონი კი ეძლევათ იმ

თანამშრომლებს, რომელთაც არ ემსახურებათ სამსახურებრივი ავტომატები, თუმცა კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დავალების შესასრულებლად შესაძლებელია დასჭირდეთ საწვავი. აქვე აღსანიშნავია, რომ ტალონი შეიძლება მიეცეთ იმ თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ პლასტიკური ბარათი, მაგრამ მასზე არსებული ლიმიტი ამოიწურა თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტში საწვავის გაცემის სისტემის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ გამგეობას არ აქვს დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის გაცემას ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, შეისწავლის ხარჯვის მიზნობრიობას და არასათანადო გამოყენების შემთხვევაში, გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რით არის გამოწვეული სხვადასხვა თანამდებობის პირების მიერ ცალკეულ თვეებში გახარჯულ საწვავის მოცულობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტმა შპს „დაუ“-სთან გააფორმა ხელშეკრულებები¹⁹ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით, რისთვისაც სულ აანაზღაურა 7.6 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საბიუჯეტო საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევას. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც წალკის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და ასევე იურიდიულ სამსახურში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ საწევრო შენატანის სახით სულ გადაურიცხა 44 ათას ლარი²⁰. აღნიშნული ა(ა)იპ სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიზნით არის შექმნილი და მდებარეობს ქ. რუსთავში. მისი დამფუძნებლები არიან თვითმმართველი ქ. რუსთავი, ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტები. წესდების თანახმად, სააგენტოს მიზანია, მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას ქვემო ქართლის რეგიონში ინვესტიციების წახალისების, არსებული მცირე და საშუალო საწარმოების და დამწყები მეწარმეების მხარდაჭერის გზით.

წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ დაუსაბუთა, რამდენად შეესაბამება ა(ა)იპ-ზე გადახდილი თანხა მისგან მიღებულ სარგებელს. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი პროექტები განახორციელა ორგანიზაციამ წალკის რაიონში, გარდა იმისა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში.

¹⁹ 2013 წელს - ხელშეკრულება №1/37, ღირებულებით 3.6 ათასი ლარი და 2014 წელს - ხელშეკრულება №1/12 ღირებულებით, 4 ათასი ლარი.

²⁰ 2013 წელს - 32 ათასი და 2014 წელს - 12 ათასი ლარი.

სუბსიდიები

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში შედიოდა 1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და 6 არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი ა(ა)იპ. აღნიშნულ ორგანიზაციებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიური დაფინანსების სახით მიღებული აქვთ 1556.2 ათასი ლარი, რაც „ხარჯების“ მუხლის 25%-ს შეადგენს. მიღებული სუბსიდიიდან 82.9 ათასი ლარით დაფინანსებულია შპს-ისა და ა(ა)იპ-ების საპრემიო თანხები.

სპორტის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროების ა(ა)იპ-ებსა და შპს-ს სუბსიდიის მისაღებად წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტში წარდგენილი აქვთ მოთხოვნები, რომლებშიც ძირითადად მითითებულია დაწესებულების წლიური ხარჯის საერთო მოცულობა, კონკრეტული მიზნებისა და გეგმების გარეშე. უმეტეს შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდია გაცემულია ისე, რომ არ არის გაანგარიშებული კონკრეტულ საქმეზე ან ღონისძიებაზე, რომელ პერიოდში, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიხარჯოს, არ არის შედგენილი ღონისძიებების ან სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ასევე არ არის გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი და კონტროლი მათ შესრულებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციებზე გაცემული სუბსიდია არ ეფუძნებოდეს გონივრულ გათვლებს.

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტს, მთლიანად გაცემული სუბსიდიის 34,3%-ით დაფინანსებული აქვს შპს „წალკის რაიონის კომუნალური მომსახურებისა და წყალმომარაგების საწარმო“²¹. აღნიშნულ შპს-ს სუბსიდია ეძლევა დასუფთავების, გარე განათების მოვლა-შენახვისა და წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციის მიზნით, ასევე მითითებულ პერიოდში შპს ასრულებდა სხვადასხვა გზების მოხრეშვით სამუშაოებს.

შპს „წალკის რაიონის კომუნალური მომსახურებისა და წყალმომარაგების საწარმოს“ მიერ მიღებული სუბსიდიის ფარგლებში განხორციელებული გზის მოხრეშვითი და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები მუნიციპალიტეტმა შეიძინა კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, რადგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გზის მოხრეშვითი, ასევე წყალმომარაგების სისტემის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული სამუშაოები ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვას.

მოქმედი კანონმდებლობით, დასუფთავებისა და გარე განათების სამუშაოები მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს სუბსიდიური დაფინანსების გზით. მიუხედავად აღნიშნულისა, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო საჭიროებისთვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და მუნიციპალიტეტის ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისთვის, გარე განათების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების მომსახურება შესყიდული უნდა იქნეს შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

²¹ სულ 535 ათასი ლარი, მათ შორის, 2013 წელს - 245.9 ათასი და 2014 წელს - 289.1 ათასი ლარი.

სოციალური უზრუნველყოფა

წალკის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების სახით 2013-2014 წლებში წარმოდგენილი ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, გახარჯულია 376 ათასი, ხოლო გამგეობის სოციალური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით - 375 ათასი ლარი. შესაბამისად, ათასი ლარის სხვაობა, რომელიც ბიუჯეტშია ნაჩვენები, სოციალური სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში საერთოდ არ ფიქსირდება და ვერ ხდება იმის დადგენა, თუ რისთვის და რა მიზნით გაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული კრიტერიუმები ხშირ შემთხვევაში არ არის მორგებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. შედეგად, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე თანხების გაცემა ხდება მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებზედაც პროგრამა ან საერთოდ არ არის შემუშავებული ან ბენეფიციარი ვერ აკმაყოფილებს რომელიმე კრიტერიუმს. მაგალითად,

- 2013-2014 წლებში 10.3 ათასი ლარი გაცემულია ისეთ ბენეფიციარებზე, რომელთა შესახებ პასუხისმგებელმა პირმა ვერ განმარტა, კონკრეტულად რა პროგრამის ფარგლებში გაიცა თანხები.
- „შეჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტს ერთ-ერთ კრიტერიუმად განსაზღვრული აქვს სოციალური სააგენტოდან წარმოსადგენი მინიმალური და მაქსიმალური ქულები. დოკუმენტაციის შერჩევით შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ დახმარება გაცემულია იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც აღნიშნულ ქულათა ზღვარში ვერ ხვდებოდნენ.
- 2013-2014 წლებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 47 შემთხვევაში გაცემულია ოჯერ ან მეტჯერ.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების დარღვევა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სოციალური სამსახური სწავლობს თითოეულ შემოსულ განცხადებას. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს არსებული პროგრამებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ხშირად მაინც იღებენ დახმარების გაცემის გადაწყვეტილებას ბენეფიციარის კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე.

საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც უზრუნველყოფს თანხების სამართლიან გაცემას და მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

სამსახურებრივი ავტომატების ზღვრული ოდენობა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების²² მიხედვით, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების 100-150 ერთეული სამტატო რიცხოვნობისას,

²²საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულება - „სამსახურებრივი ავტომატების გამოყენების წესი“.

სამსახურებრივი მიმოსვლისათვის საჭირო მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 3 ერთეულით. 2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენდა 130-123 ერთეულს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს უნდა ესარგებლა 3 მსუბუქი ავტომანქანით. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს²³ აღნიშნულ პერიოდში ემსახურებოდა 5 ავტომანქანა. შესაბამისად 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში არ სრულდებოდა სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესი.

სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სულ შეისყიდა 11 მობილური ტელეფონი, საერთო ღირებულებით 7 920 ლარი. მათ შორის, 2013 წელს შესყიდულია 5 მობილური, ღირებულებით 3 835 ლარი, ხოლო 2014 წელს - 6 ტელეფონი, ღირებულებით 4 085 ლარი. აპარატები ძირითადად გადაცემულია საკრებულოსა და გამგეობის სხვადასხვა თანამდებობის პირებზე.

შესყიდული მობილური აპარატებიდან 2013 წელს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის შეძენილია „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი, ღირებულებით 890 ლარი, ხოლო 2014 წელს Iphone 5S, ღირებულებით 1270 ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ორივე ტელეფონს იყენებდა მუნიციპალიტეტის გამგებელი.

საკრებულოს თავმჯდომარისთვის 3-ჯერ არის შეძენილი მობილური ტელეფონი, საერთო ღირებულებით 2 940 ლარი. პირველი აპარატი, ღირებულებით 1 075 ლარი, შეიძინეს ყოფილი საკრებულოს თავმჯდომარისთვის, აღნიშნული ტელეფონი შემდგომ გადაეცა საკრებულოს აპარატის უფროსს, ხოლო ყოფილი საკრებულოს თავმჯდომარისთვის, რომელიც შემდგომ გახდა ფრაქციის თავმჯდომარე, შეძენილი იქნა მობილური ტელეფონი ღირებულებით 595 ლარი, მესამე აპარატი - ipone 5s, ღირებულებით 1270 ლარი, შეძენილ იქნა მოქმედი საკრებულოს თავმჯდომარისთვის.

2013 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლისათვის შესყიდული იქნა 2 ცალი ერთნაირი მოდელის პლანშეტი, საერთო ღირებულებით 1380 ლარი. აღსანიშნავია რომ ამ პერიოდში ორივე თანამდებობის პირი სარგებლობდა როგორც პორტატული (ნოუთბუქი), ასევე პერსონალური კომპიუტერით.

მივლინება ქვეყნის გარეთ

2013 წელს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საზღვარგარეთ მივლინებისთვის ბიუჯეტიდან ჯამურად გახარჯულია 5.6 ათასი ლარი. აქედან, გერმანიაში მივლინებაზე გადახდილია 3.6 ათასი, ხოლო პოლონეთში მივლინებაზე - 2 ათასი ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ პოლონეთში ვიზიტისას, შეცვალა უკან დაბრუნების თარიღი, რის გამოც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით ანაზღაურებულ იქნა თარიღის შეცვლის ღირებულება 650 ლარი.

²³ გარდა გამგებლის, სამხედრო და სახანძრო სამსახურების ავტომანქანებისა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

წალკის მუნიციპალიტეტი ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად²⁴. კანონმდებლობით დამტკიცებულია ფინანსური ანგარიშგების ფორმა (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები), რომლებშიც აისახება ბუღალტრული აღიცხვის შედეგად დამუშავებული და შეჯამებული ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მომხმარებელს მიაწოდოს საიმედო ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობისა და საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ.

გამგეობამ აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა ფინანსური ანგარიშგებები 2013 და 2014 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. შედეგად, 2013-2014 წლებში ორგანიზაციას არ აქვს წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის შედეგებზე სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი, რომლითაც მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შეფასება, საანგარიშგებო წელს შექმნილი არაფინანსური აქტივების, კაპიტალის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გაანალიზება.

ინვენტარიზაცია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების²⁵ - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია ჩაატაროს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი 11; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

²⁵ 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

2013-2014 წლებში წალკის მუნიციპალიტეტს ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად. გამგეობამ მოახდინა მხოლოდ აქტივების ნაწილის გადათვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

აუდიტორული მომსახურების შესყიდვა

2013-2014 წლებში აუდიტორულ მომსახურებაში გადახდილია ჯამურად 12.5 ათასი ლარი. აქედან, 4.5 ათასი ლარი დაიხარჯა 2013 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების აუდიტორულ შემოწმებაზე. კერძო კომპანიის მიერ გაცემულ დასკვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების სტატისტიკური მონაცემების შესახებ და მითითებული არაა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გამოვლენილ ხარვეზებზე. ამდენად, კერძო აუდიტორების მიერ მომზადებული დასკვნა, მისი ხასიათისა და შინაარსის მიხედვით, არ შეესაბამება მარეგულირებელ ნორმებს და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. იგი დაინტერესებული მხარეებს ვერ აწვდის სათანადო ინფორმაციას და არ იძლევა რეალურ სურათს მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესაფასებლად.

ჩატარებული აუდიტის შედეგად ვერ იქნა გამოვლენილი ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის მიწოდებულ ინფორმაციაზე და რომლებიც იდენტიფიცირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი:


მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა 22.10.2015 თარიღი

აუდიტორი:

ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა 22.10.2015 თარიღი

აუდიტორი

თეა უდესიანი



ხელმოწერა 22.10.2015 თარიღი

აუდიტორ- ასისტენტი


ნატალია საღარეიშვილი



ხელმოწერა 22.10.2015 თარიღი

აუდიტორ- ასისტენტი

მამუკა ნიჟარაძე



ხელმოწერა 22.10.2015 თარიღი